სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გურამ სუხაშვილი

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობა

შესავალი

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სამართლის სისტემებს წარმოადგენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ორ სამართლის სიტემას შორის უფსკრულია, პირიქით რაც უფრო მჭიდროვდება და ვითარდება საერთაშორისო თანამშრომლობა საერთაშორისო ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში, მით უფრო ძლიერი ხდება ამ ორი სისტემის ურთიერთზემოქმედება. საერთაშორისო სამართლის განვითარება, ეროვნულ სამართალთან მისი ურთიერთქმედების გაღრმავება საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციით განისაზღვრება, მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულება და ერთიანობა მოითხოვს, რომ ეროვნული პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემები აგებული იყოს როგორც ერთიანი გლობალური სისტემის ნაწილები, რათა შეეძლოს ურთიერთქმედება ერთმანეთთან და მთლიანობაში საერთაშორისო ურთიერთობის სისტემასთან, გარე სამყაროსთან ადეკვატურ ურთიერთქმედებაზეა დამოკიდებული შიდა ამოცანების გადაჭრა.[1]

როგორც შიდასახელმწიფოებრივი ისევე საერთაშორისო სამართალი კონკრეტული სახელმწიფოს ნების გამოვლინების შედეგია, იმ განსხვავებით, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმა ორი ან მეტი, თანასწორი, სუვერენული სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგადაა მიღებული. როგორ მოქმედებს საერთაშორისო სამართლის ნორმა ამა თუ იმ ქვეყნის შიგნით დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ პოლიტიკურ სისტემაზე.

საერთაშორისო სამართალი იმპერატიულად მოითხოვს ყველა სახელმწიფოსგან, მტკიცედ დაიცვან ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები და კრძალავს ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამართლებას, თავისი საშინაო

[1] კ. კ. გასანოვი, ი. ა. კუზნეცოვი, დ. ა. ნიკონოვი, რ. ა. კალამკარიანი, დ. დ. შალიაგინი - საერთაშორისო სამართალი. სამართლიანი საქართველო. თბილისი 2010 წ. გვ 21

სამართლის დებულებებზე მითითებით, ასეთი აქტი განიხლიება როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევა, რომელიც ნორმის დამრღვევის საერთაშორისო პასუხისგებლობას წარმოშობს.[2]

ყველა სახელმწიფო უნდა აწარმოებდეს სამართალშემოქმედებას მის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების შესაბამისად. ყოველი შიდასახელმწიფოებრივი ორგანო უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ ნორმებზე დაყრდნობით, არამედ საერთაშორისო სამართლის მოქმედი ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად, რომლებიც აღიარებულია მოცემული სახელმწიფოს მიერ, როგორც მისთვის სავალდებულო ქცევის წესი.

საერთასორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის შესახებ არსებული თეორიები

მეცნიერებაში ჩამოყალიბდა სამი თეორია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, რომელთაგან ერთი დუალისტურია ხოლო დანარჩენი ორი მონისტური. ჩვეულებრივ თეორიული საკითხი წამოიჭრება ხოლმე, როგორც დუალიზმისა ან პლურალიზმის და მონიზმს შორის კონფლიქტი, ეს ორივე სკოლა უშვებს რომ არსებობს საერთო სფერო, რომელშიც საერთაშოირისო და შიდასახელმწიფოებირივი სამართლის ნორმები შეიძლება ერთად მოქმედებდეს იმავე საკითხთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა საკითხი, რომელი ნორმები უნდა ჩაითვალოს ზემდგომად? აშკარაა რომ, როდესაც საკითხი ასე დგას, დავაზე შეზღუდვა უკვე დაწესებულია და გარკვეულია გადაწყვეტილებები გამორიცხული. დუალისტური დოქტრინა

[2] ლევან ალექსიძე-თანამედროვე საერთაშორისო სამართლაი. თბილისი 2010 წ. გვ. 22

მიუთითებს საერთასორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებივ სამართალს შორის არსებით განსხვავებაზე, რომელიც ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ორი სისტემა არეგულირებს თვისებრივად განსხვავებულ საკითხს. საერთაშორისო სამართალი არის სუვერენული სახელმწიფოთა შორის მოქმედი სამართალი, შიდასახელწმიფოებრივი სამართალი მოქმედებს სახელმწიფოს შიგნით და არეგულირებს თავისი მოქალაქეების ურთიერთობებს ერთმანეთთან და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.[3]

ამ შეხედულებასთან დაკავშირებით არც ერთ სამართლებრივ წესრიგს არა აქვს ძალა, შექმნას ან შეცვალოს მეორეს წესები, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანახმად საერთაშორისო სამართალი იურისდიქციის ფარგლებში მოქმედებს სრულად ან ნაწილობრივ, ეს უბრალოდ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის უფლებამოსილების განხორციელება, საერთაშორისო სამართლის ნორმების აღიარება ან ტრანსფორმაციაა, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შორის კონფლიქტის შემთხვევაში დუალისტური თეორიის მიხედვით შიდასახელწმიფოებრივი სასამართლო შიდასახელწმიფოებრივ სამართალს გამოიყენებს.

მონიზმის თეორიას აღიარებენ მთელი რიგი სამართალმცოდნეებისა, აღნიშნული თეორია არ არის უბრალოდ ინტელექტუალური სტრუქტურა, მონიზმი გამოიხატა საერთაშორისო სამართლის უზენაესობით თვით შიდასახელმწიფოებრივი სფეროს შიგნითაც, რასაც ემატება საერთაშორისო სამართლის განვითარებული მოსაზრებები პიროვნების, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის შესახებ, ასეთი დოქტრინა არასასიამოვნოა სუვერენული სახელმწიფოების არსებობის შესახებ სამართლებრივი დასკვნებისთვის და ის შიდასახელწმიფოებრივი სამართლის სტატუსს საერთაშორისო სამართალში აკნინებს. სახელმწიფო უარყოფილია როგორც აბსტრაქცია და მისი, როგორც

[3] იან ბრაუნლი - საერთასორისო საჯარო სამართლის პრონციპები. მეშვიდე გამოცემა თბილისი 2010 წ. გვ 36

ადამიანის უფლებათა დაცვის მდგრადი მექანიზმის მიმართ ნდობა არ არსებობს: საერთაშორისო სამართალი, როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართალი საბოლოო ჯამში მაინც პიროვნებათა ქცევის და კეთილდღეობას ეხება, საერთაშორისო სამართალი აღიქმევა ადამიანების არსებობის და აქედან გამომდინარე სახელმწიფოთა სამართლებრივი არსებობის და სახელმწიფოთა სამართლებრივი კომპეტენციის სფეროს შიგნით არსებულ სამართლის შიდასახელწმიფოებრივი სისტემების ლოგიკურ კონდიციად.[4]

კელსენმა მონისტური პრინციპები განავითარა ცოდნის თეორიაზე დამოკიდებული ანალიზის ფორმალური მეთოდების საფუძველზე, კელსენის შეხედულებათა ბირთვის თანახმად, მონიზმის არსებობა მეცნიერულად დასაბუთებულია, თუკი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ნორმათა ერთი და იმავე სისტემის ნაწილია, რომელიც იურიდიული ძალისა და ინტელექტუალური მოქმედების შედეგად შინაარსობრივ დატვირთვას იღებს ძირითადი ნორმისგან, ამ ძირითან ნორმას იგი შემდეგნაირად აყალიბებს: „სახელმწიფოები ისე უნდა იქცეოდნენ, როგორც ჩველულებრივ ჩვეულებათა თანახმად იქცეოდნენ“, როდესაც საერთაშორისო სამართლის სისტემას ძირითადმა ნორმამ დაუჭირა მხარი, მასში არსებულმა ეფექტურობის პრინციპმა, რომელიც რევოლუციას კანონშემომედების ფაქტად აღიარებს და სახემწიფოს პირველ კანონმდებლებს იღებს, წარმოშვვა ეროვნული სამართლებრივი წესრიგის ძირითადი ნორმა, ანუ ახალი შიდასახელმწიფოებრივი წესრიგების ეფექტურობა დგინდება იმ აქტების საფუძველზე, რომლებიც შეიძლება წინა შემადგენლობის საწინააღმდეგო იყოს. შემდგომ ამას მოსდევს “რადგან საერთასორისო სამართლის ნორმა განსაზღვრავს ეროვნული სამართლებრივი წესრიგის ძირითად ნორმებს, ისინი ძირითად ნორმებს მხოლოდ შედარებით წარმოადგენს, ხოლო საერთაშორისო სამათლებრივი წესრიგების ძირითად ნორმებს, ისინი ძირითად ნორმებს მხოლოდ

[4] იან ბრაუნლი - საერთასორისო საჯარო სამართლის პრონციპები. მეშვიდე გამოცემა თბილისი 2010 წ. იქვე.

შედარებითი გაგებით წარმოადგენს, ხოლო საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგების იურიდიული ძალის უპირველესი მიზეზია.

მართალია კელსენი მონიზმს საკუთარი თეორიის საფუძველზე ამყარებს, მაგრამ იგი მხარს არ უჭერს საერთაშორისო სამართლის „პრიმატს“ შიდასახელმწიფოებრივი სამართალთან მიმართებაში მისი აზრით, პირველობის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ მოსაზრებათა საფუძველზე, რომლებიც მკვეთრად სამართლებრივი არ არის, შესაძლოა განსჯის საგანი იყოს, არიდებს თუ არა კელსენი თავს ვარაუდის ელემენტს, როდესაც აყალიბებს მოსაზრებას, რომ საერთასორისო სამართლის ძირითადი ნორმა გარკვეულწილად განსაზღვრავს ეროვნული ძირითადი ნორმის იურიდიულ ძალას, თითეულ ნორმის იურიდიული ძალა შესაძლოა უფრო ურთიერთდამოკიდებულების ურთიერთობას ეფუძნებოდეს, ვიდრე იერარქიულ ურთიერთობას.[5]

არსებობს აგრეთვე მონისტურ-ნატურალისტური თეორია, რომელიც სულ, მცირე ზედაპირულად ჰგავს კელსენის მიერ შემოთავაზებულ საყოველთაო ძირითად ნორმას, ამ თეორიის თანახმად საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამათლებრივი წესრიგები ექვემდებარება მესამე სამართლებრივ წესრიგს, რომელიც ჩვეულებრივ ბუნებით სამართალის ან სამართლის ზოგადი პროინციპების საფუძველზეა ჩამოყილებული, ორივეზე მაღლა დგას და შეუძლია მათ შესაბამის მოქმედების სფეროთი განსაზღვრა.

საერთასორისო სამართლის მიმართება შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან

[5] იან ბრაუნლი - საერთასორისო საჯარო სამართლის პრონციპები. მეშვიდე გამოცემა თბილისი 2010 წ. გვ 37

ბევრ საერთასორისო სამართალმცოდნეს მიაჩნია, რომ ორივე თეორიის ლოგიკური შედეგები კონფლიკტშია საერთაშორისო და ეროვნული ორგანოების ქმედებებთან და სურს გაექცეს მონიზმისა და დუალიზმის დიქოტომიას. ამგვარად სერ ჯერალდ ფიცმორისი [6] არ ეთანხმება მონისტებისა და დუალისტების შეხედულებას, რომ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართალს მოქმედების საერთო სფერო აქვთ, ორ სისტემას შორის კონფლიქტი, როგორც სისტემებს შორის არ არსებობს, რადგან ისინი სხვადასხვა სფეროებში მოქმედებს, თითეული მათგანი უზენასია საკუთარ სფეროში, რადგან ისინი სხვადასხვა სფეროებში მოქმედებს, თითოეული მათგანი უზენაესია საკუთარ სფეროში, თუმცა შეიძლება არსებობდეს ვალდებულებათა კონფლიქტი, სახელწმიფოს უუნარობა იმოქმედოს ეროვნულ დონეზე საერთაშორისო სამართლის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ამის შედეგი იქნება არა შიდასახელწმიფოებრივი სამართლისთვის კანონიერი ძალის წართმევა, არამედ სახელმწიფოს პასუხისგებლობა საერთაშორისო დონეზე. რუსო გამოთქვამდა მსგავს შეხედულებებს, როცა საერთასორისო სამართალს ახასიათებდა როგორც კოორდინაციის სამართალს რომელიც არ ითვალსიწინებს შიდა ნორმების ავტომატურ გაუქმებას, როდესაც ისინი კონფლიქტში მოდის საერთაშორისო დონეზე არსებულ ვალდებულებებთან.

უნდა ავღნიშნოთ, რომ საერთასორისო სამართალი შიდასახელწმიფოებრივი სამართლის სრულ იგნორირებას არ ახდენს, ასე მაგალითად, შიდასახელწმიფოებრივი სამართლი ზოგჯერ გამოიყენება, როგორც მტკიცებულება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ან სამართლის ზოგადი პრინციპებისთვის -

[6] აღნიშნული ავტორი აკრიტიკებს მონისტურ დოქტრინას სახელმწიფოს როლის შეახებ, მისი აზრით სახელმწიფო არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც მხოლოდ პიროვნებატა კრებული, იგიამბობს, რომ სახელმწიფოს ან ერის, როგორც განუყოფელი ერთობის ცნება, რომელსაც აქვს საკუთარი განსხვავებული სუბიექტობა, წარმოადგენს აუცილებელ საწყისს ჰიპოთეზას, რომელიც არსებობდა მანამდე ვიდრე საერთასორისო სამართალზე საერთოდ შესაძლებელია იქნებოდა მნიშვნელოვანი საუბარი.

ეს ორივე კი საერთაშორისო სამართლის წყაროა, გარდა ამისა საერთაშორისო სამართალი გარკვეულ საკითხებს გადასაწყვეტად უტოვებს მუნიციპალურ სამართალს, მაგალითად იმის გასარკვევად, არის თუ არა რომელიმე პიროვნება X ქვეყნის მოქალაქე, საერთაშორისო სამართალი პირველ რიგში X სახელწმიფოს სამართალს ითვალისწინებს, იმ პირობით, რომ X სახელმწიფოს სამართალი სრულიად ირაციონალური არ არის.[7]

მიუხედავად ამისა, საერთასორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმა იმაში მდგომარეობს, რომ სახელწმიფოს არ შეუძლია გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი სამართალში კანონი ან ხარვეზი საერთაშორისო სამართალზე დამყარებული პრეტენზიებისგან თავის დასაცავად. მაგალითად თავისუფალი ზონების საქმეში საერთაშორისო სასამართალოს მუდმივმა პალატამ განაცხადა: „ცხადია საფრანგეთი ვერ მოიშველიებს საკუთარ იურისდიქციას საერთაშორისო მოვალეობების მოცულობის შესამცირებლად“ ეს წესი განსაკუთრებით მართებულია, როდესაც როგორც ეს ხშირად ხდება სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება ან საერთაშორისო სამართლის რომელიმე ნორმა სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ გარკვეული კანონი როგორც შიდასახელმწიფოებრივი კანონი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის რასაც საერთაშორისო სამართალი ამბობს, არის ის, რომ სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების შეუსულებლობის შემთხვევაში თავის გასამართლებლად არ შეუძლია მიმართოს საკუთარ შიდასახელმწიფოებრივ სამართალსა და პროცედურებს, სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების შერულება მოეთხოვება, ხოლო ის თუ როგორ აისახება ეს ვალდებულელებები შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, მისი გადასაწყვეტია.

---

[7] პეტერ მალანჩუკი - აკეჰარტის თანამედოვე საერთაშორისო სამარტალი. მეშვიდე შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „დიოგენე“ 2005 წ. გვ. 81

შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიმართება საერთაშორისო სამართალთან

გაცილებით ძნელია შევაჯამოთ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დამოკიდებულება საერთაშორისო სამართალთან, ვიდრე საერთაშორისო სამართლის შიდასახელმწიფოებრივთან დამოკიდებულება. სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ამ თვალსაზრისით დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუ გავაანალიზებთ კონსტიტუციებს, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების კონსტიტუციებს, რომლებიც ჩვეულებრივ ხაზს უსვამენ თავიანთ სუვერენიტეტს, დავინახავთ, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა საერთასორისო სამართალს საკუთარი, შიდასახელმწიფოებრივი სამართალთან შედარებით პრიმატს არ ანიჭებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა საერთაშორისო სამართალს უგულებელსყოფს. კონსტიტუციები შეიძლება ანალიზის საწყის წერტილად გამოვიყენოთ, ამასთანავე დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა კანონმდებლობას, ეროვნულ სასამართლოსა და ადმინისტრაციულ პრაკტიკის პოზიციას, რომელიც ხშირად ორაზროვანი და არათანმიმდევრულია, ეს პოზიცია ხშირად დუალისტურია, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს განსხვავებულ სისტემებად მიიჩნევს და მოითხოვს საერთაშორისო ნორმების ინკორპორირებას ეროვნულ დონეზე.[8]

ხელშეკრულებებს ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში საკმაოდ მნიშვნელოვანი სტატუსი გააჩნიათ. საერთაშორისო სამართლის ნორმებს ყოფენ „თვითშემსრულებელ“ და „არათვიშემსრულებელ“ ნორმებად. პირველი ტერმინი აღნიშნავს ნორმებს, რომელიც ისეა ფორმულირებული, რომ სახელწმიფოს მიერ მათი

[8] პეტერ მალანჩუკი - აკეჰარტის თანამედროვე საერთაშორისო სამარტალი. მეშვიდე შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „დიოგენე“ 2005 წ. გვ. 82

იურიდიულად აღიარების შემდეგ, შესაძლებელი ხდება მათი გამოყენება სასამართლოებისა და სხვა ორგანოების მიერ, თუ ამას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს. „არათვითშემსრულებელი“ ნორმების იმპლემენტაციისთვის საჭიროა ახალი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტის ან ნორმის შექმნა.

საერთაშორისო სამართლის ნორმების შესრულებას, შიდასახელმწიფოებრივი ნორმების გამოყენებით „ტრანსფორმაცია“ ეწოდება, პირდაპირი ტრანსფორმაციის დროს, ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტი იძენს კანონის ძალას, არაპირდაპირი ტრანსფორმაციის დროს საერთაშორისო ხელშეკრულებები ძალას იძენს, მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს სპეციალური აქტის გამოცემის შემდეგ.[9]

შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილია მიმთითებელი ნორმები, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობის მოსაგვარებლად იყენებს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რითაც ეს უკანასკენლნი წვდებიან შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებს და შეეფარდებიან მათ. მიმთითებელ ნორმებში გვხდება ისეთი ნორმები, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და მიუთითებენ მთლიანად საერთაშორისო სამართლს, და აგრეთვე ნორმრები, რომლებიც კონკრეტულ მითითებას აკეთებენ, საერთაშორისო სამართლის რომელიმე საერთაშორისო აქტზე ან ნორმაზე. არცერთ ზემოთ ნახსენებ შემთხვევაში არ ხდება საერთაშორისო სამართლის ტრანსფორმაცია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, არამედ სასამართლოებსა და სხვა ორგანოებს ეძლევათ უფლება გამოიყენონ საერთშორისო სამართლის ნორმა.

საერთაშორისო სამართლის ნორმების იმპლანტაციის მეორე ფორმად გვევლინება ინკორპორაცია, ე.ი. არსებული ძალაში შესული ხელშეკრულების ან საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულების საფუძველზე ახალი

[9] ლევან ალექსიძე-თანამედროვე საერთაშორისო სამართლაი. თბილისი 2010 წ. გვ. 24

შიდასახელმწიფოებრივი ნორმის შექმნა ან არსებულის შეცვლა ან სრულიად გაუქმება. სახელმწიფოს შეუძლია გამოსცეს სამართლებრივი აქტი, რომელიც ტექსტუალურად იმეორებს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს - ინდივიდუალური ინკორპორაცია, ან შეუფარდოს უკვე არსებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმები ხელშეკრულების დებულებათა შესრულების პროცესს - ადაპტაცია, ან მიიღოს აქტი საერთაშორისო სამართლის ნორმის კოპირების გარეშე - ლეგიტიმაცია, ახალი ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სამართლის სიტემაში ჩართვის ყველა ეს საშუალება ინკორპორაციის საშუალებად გვევლინება.

ასეთია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის ძირითადი თეორიული და პრაკტიკული საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლევან ალექსიძე-თანამედროვე საერთაშორისო სამართლაი. თბილისი 2010 წ.
2. პეტერ მალანჩუკი - აკეჰარტის თანამედოვე საერთაშორისო სამარტალი. მეშვიდე შესწორებული გამოცემა. გამომცემლობა „დიოგენე“ 2005 წ.
3. იან ბრაუნლი - საერთასორისო საჯარო სამართლის პრონციპები. მეშვიდე გამოცემა თბილისი 2010 წ.
4. კ. კ. გასანოვი, ი. ა. კუზნეცოვი, დ. ა. ნიკონოვი, რ. ა. კალამკარიანი, დ. დ. შალიაგინი - საერთაშორისო სამართალი. სამართლიანი საქართველო. თბილისი 2010 წ.